ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №34

2010 წლის 29 სექტემბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საწყისი წლიური ქირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ „საქართველოს კანონის 19^5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირა შემდეგი ოდენობით:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – შესაბამის ტერიტორიულ ზონაში მოქმედი მიწის ნორმატიული ფასის 5%.
2. სხვა უძრავ ნივთებზე – ნივთის საბაზრო ღირებულების 5%.
3. მოძრავ ნივთებზე – ნივთის საბაზრო ღირებულების 5%.

მუხლი 2 (ამოღებულია)

მუხლი 3

ამ დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გელენიძე